სასესხო შეთანხმება

დათარიღებული
2019 წლის 7 ოქტომბერი

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"),
მაინის ფრანკფურტი,

და

საქართველოს,
წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ
(„მსესხებელი")

შორის

60,000,000.00 ევრო

- ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა -

BMZ ID: 301000645
სესხის ID: 29457

შინაარსი

შინაარსი....1

პრეამბულა....2

1.სესხი....3

2.სესხის გადაცემა....3

3.თანხების ჩამორიცხვა....3

4.გადასახდელები....5

5. პროცენტი....6

6.სესხის დაფარვა და წინსწრებით დაფარვა....10

7.კალკულაცია და გადახდები ზოგადად....12

8.გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარანტია....14

9.უკანონობა....14

10.ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები....15

11. განსაკუთრებული ვალდებულებები....15

12. შეთანხმების შეწყვეტა....18

13. წარმომადგენლობა და შეტყობინების წარდგენა....19

14.პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა....19

15.ზოგადი დებულებები....21

დანართი 1 განაცხადის ნიმუში სარგებლის ცვლილებასთან დაკავშირებით....24

დანართი2 შეთანხმების შესაბამისობა....25

პრეამბულა

გერმანიის მთავრობის მიერ 2019 წლის 8 მაისით დათარიღებული ნებართვის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, მიმღები და KfW ამგვარად აფორმებენ შემდეგ სასესხო შეთანხმებას.

პროექტის ფაზების I-IV გაგრძელებაზე, მოცემული პროგრამა - „ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა" მოიცავს კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და გაფართოებას თვითმმართველ ქალაქ ბათუმში ("პროგრამა").

ახალი პროექტის მიზნებისთვის, KfW წარმოადგენს სესხს ოდენობით 60 მილიონ ევრომდე ამ სასესხო შეთანხმების პირობების და დებულებების თანახმად.

პროექტის განმახორციელებელი სააგენტო უზრუნველყოფს წყლილის შეტანას პროგრამაში რაც გულისხმობს, სესხის განხორციელებასთან დაკავშირებით დარიცხული ყველა გადასახადების, საიმპორტო მოსაკრებლების და სხვა სახელმწიფო დანახარჯებისა და ხარჯების გადახდას ან ანაზღაურებას („ადგილობრივი შენატანი").

სესხის ვადები და პირობები შესაბამისობაშია OECD-სთან, მოთხოვნები შეესაბამება შეთანხმების ხელმოწერის თარიღთან განვითარების ოფიციალურ ხელშეწყობის ღონისძიებად (ODA) აღიარებისთვის.

ამ შეთანხმების საფუძველზე და იმ პირობით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გასცემს გარანტიას სესხისთვის, KfW გასცემს სესხს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

1. სესხი

1.1. *ოდენობა.* KfW გადასცემს მსესხებელს სესხს, რომლის ოდენობა ჯამურად არ აღემატება **60,000,000.00 ევროს ("სესხი")**

1.2. *მიზანი.* მსესხებელი მთლიან სესხს გადასცემს თვითმმართველ ქალაქ ბათუმს ("პროექტის განმახორციელებელი სააგენტო"), რაც შესაბამისობაშია მუხლი 2.1 პირობებთან და უზრუნველყოფს რომ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო გამოიყენებს სესხს სრულად განსაკუთრებით საინვესტიციო ღონისძიებების დასაფინანსებლად კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და გაფართოება პროექტ "ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა"-ის ფარგლებში და დაკავშირებულია საკონსულტაციო მომსახურებებთან (პროექტი) და პირველ რიგში გადაიხდის უცხოური ვალუტის ხარჯებს. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და KfW განსაზღვრავენ პროექტის დეტალებს და მოწოდებასა და მომსახურებას, რომელიც უნდა დაფინანსდეს სესხიდან განსაკუთრებული შეთანხმებით ("**განსაკუთრებული შეთანხმება**").

1.3. *გადასახადები, მოსაკრებლები, საბაჟო გადასახადები* გადასახადები და სხვა ოფიციალური მოსაკრებლები, რომლებიც წარმოექმნება მსესხებელს ან პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს, ისევე როგორც საბაჟო გადასახადი სესხის თანხიდან არ დაფინანსდება.

2. სესხის გადაცემა

2.1. სესხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსათვის. მსესხებელი სრულად გადასცემს სესხს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს, სპეციალური სასესხო ხელშეკრულებით (შემდგომში „გადასესხების ხელშეკრულება"). გადასესხების ხელშეკრულების პირობები შესაბამისობაში უნდა იყოს მე-4 და მე-5 მუხლებში განსაზღვრულ პირობებთან და მოთხოვნებთან.

2.2. სერთიფიცირებული თარგმანი. სესხის პირველი ტრანშის გადმორიცხვამდე, მსესხებელმა უნდა გაუგზავნოს KfW-ს გადასესხების ხელშეკრულების სერთიფიცირებული თარგმანი.

2.3. პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს პასუხისმგებლობის გამორიცხვა. სესხის გადაცემა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსთვის არანაირ ვალდებულებას არ აკისრებს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს KfW-სმიმართ ამ სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებასთან მიმართებაში.

3. თანხების ჩამორიცხვა

*3.1 განაცხადი თანხების ჩამორიცხვის თაობაზე.*როგორც კი თანხების ჩამორიცხვის წინაპირობები შესრულებული იქნება 3.3 მუხლში (თანხების ჩამორიცხვის წინაპირობები) მოცემული მოთხოვნების შესაბამისად, KfW ჩამორიცხავს სესხს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს განაცხადის საფუძველზე პროექტის განხორციელების მიმდინარეობის მიხედვით.ფარგლებში , რომელშიც მსესხებელი ითხოვს მცირე ოდენობით გადახდას ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, გამოუყენებელი თანხების მოთხოვნა შესაძლებელია ნებისმიერ მომდევნო პერიოდში. გარდა (i) ბოლო გადახდისა და (ii) ნებისმიერი თანხის გადახდა საკონსულტაციო მომსახურებების დასაფინანსებლად პროექტთან დაკავშირებით, თითოეული

სასესხო თანხა არ უნდა იყოს 500,000.00 ევროზე ნაკლები, სანამ KfW თავისი და შეუზღუდავი შეხედულებისამებრ თანახმაა გადმორიცხოს სესხის თანხა, რომელიც ამ ზღვარს ქვევითაა.

3.2 თანხების ჩამორიცხვის თაობაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა. KfW უფლებამოსილია 2024 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ უარი განაცხადოს თანხის ჩამორიცხვაზე.

3.3 თანხების ჩამორიცხვის წინაპირობები KfW თანხებს ამ სასესხო შეთანხმების ფარგლებში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამორიცხავს, თუ KfW-სათვის მისაღები ფორმითა და შინაარსით შესრულებულია შემდეგი წინაპირობები:

ა) მსესხებელი წარუდგენს KfW-ს მისთვის მისაღები ფორმით სამართლებრივ დასკვნას, და სამართლებრივ დასკვნასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტის დადასტურებულ ასლს (თითოეულის ოფიციალური თარგმანი ამ შეთანხმების ენაზე), რომელიც ადასტურებს, რომ სასესხო შეთანხმება ძალაში, შესასრულებლად სავალდებულოა და აღსრულებადია, (გაურკვეველობის თავიდან აცილების მიზნით, განაცხადი KfW-ს ყველა პროცენტის, მოსაკრებლის, და მსგავსი გადასახდელისგან გათავისუფლების შესახებ სესხის გამოყოფისას);

ბ) KfW ფლობს ამ შეთანხმების და განსაკუთრებული შეთანხმების ხელმოწერილ ორიგინალს, თითოული შესასრულებლად სავალდებულო ძალისაა;

გ) KfW-ს მიღებული აქვს 13.1 მუხლში (მსესხებლის წარმომადგენლობა) მითითებული ხელმოწერის ნიმუშები;

დ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გარანტია, რომელიც მითითებულია მე-8 მუხლში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარანტია), ძალაშია და მოქმედებს აკრძალვების გარეშე;

ე) KfW-ს მიღებული აქვს გადასესხების ხელშეკრულების დამოწმებული ინგლისური თარგმანი 2.2 მუხლის შესაბამისად;

ვ) მსესხებელმა გადაიხადა 4.2 მუხლით (ადმინისტრირების გადასახდელი) გათვალისწინებული ადმინისტრირების გადასახდელი;

ზ) არ დამდგარა შეთანხმების შეწყვეტის მიზეზი, არც მომხდარა ინციდენტი, რაც გახდებოდა შეწყვეტის მიზეზი შეტყობინებით, ან ვადის გასვლით, ან ახალი გარემოებების გამორკვევის ფაქტით (შეწყვეტის პოტენციური მიზეზი);

თ) არ წარმოიშვება ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებები, რომლებიც აფერხებენ, ან სერიოზულ საფრთხეს უქმნიან პროექტის განხორციელებას, ოპერირებასა და მიზანს, ან მსესხებლის მიერ ამ შეთანხმებით დაკისრებული გადახდის ვალდებულებების შესრულებას

სესხის ფარგლებიდან თანხის ჩამორიცხვამდე KfW-ს უფლება აქვს, როგორც საჭიროდ ჩათვლის, დამატებით მოითხოვოს დოკუმენტები და დადასტურებები, რომელსაც იგი საჭიროდ ჩათვლის თავისი შეხედულებისამებრ ამ ნაწილში მითითებული პირობების დასადგენად.

3.4 *დეტალები ჩამორიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით.* პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და KfW განსაკუთრებული შეთანხმებით განსაზღვრავენ ჩამორიცხვის პროცედურის დეტალებს, კერძოდ პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ, უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ მოთხოვნილი სესხის თანხა მოხმარდება წინასწარ შეთანხმებულ მიზნებს.

3.5 *თანხის ჩამორიცხვის გაუქმების უფლება.* შეთანხმების მე-11 *(განსაკუთრებული ვალდებულებები)* მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვით, მსესხებელს შეუძლია KfW-სთან შეთანხმებით გააუქმოს ჩამოურიცხავი სესხის თანხის ჩამორიცხვა როგორც ეს განსაზღვრულია 3.6 მუხლით ***(თანხის მიუღებლობის კომპენსაცია)***. განსაზღვრული თანხის მიუღებლობის შემთხვევაში კომპენსაციის თანხის გადახდის გათვალისწინებით.

3.6 *კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში.* თუ მსესხებელი უარს იტყვის სესხის ფარგლებიდან იმ თანხის ჩამორიცხვაზე, რომელზეც საპროცენტო სარგებელი უკვე დადგენილია 3.5 მუხლის (*თანხის ჩამორიცხვის გაუქმება)* შესაბამისად, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული სრულად, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული 3.2 მუხლის შესაბამისად (თანხების ჩამორიცხვის თაობაზე განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა). განსაზღვრული თარიღისთვის, მსესხებელი ვალდებულია დროულად აუნაზღაუროს KfW-ს მის მიერ მოთხოვნილი თანხა, რომელიც საჭიროა სახსრების ჩამორიცხვის გაუქმებით გამოწვეული ზარალის ან ხარჯების კომპენსაციისათვის (**თანხის მიუღებლობის კომპენსაცია**), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არ ჩამორიცხვა გამოწვეულია მოცემული შეთანხმების დარღვევით KfW-ს მხრიდან. KfW გამოთვლის თანხის მიუღებლობის კომპენსაციის მოცულობას და მიაწოდებს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მსესხებელს.

4 გადასახდელები

4.1 ვალდებულების გადასახდელი. მსესხებელი გადაუხდის KfW-ს ერთჯერადი თანხის სახით ვალდებულების გადასახდელს სესხის თანხის ჩამოურიცხავი ნაწილის 0.25%-ის ოდენობით, (**"ვალდებულების გადასახდელი"**).რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ვალდებულებების გადასახდელის დაფარვა მოხდება ნახევარწლიურად, ყოველი წლის 15 მაისს და 15 ნოემბრის პერიოდებში, პირველად 15.05.2020 წელს, მაგრამ არა უადრეს გადახდის თარიღისა, ამ შეთანხმების ძალაში შესვლის და ეფექტურობის შემდეგ დადგება შეთანხმების 15.10 მუხლის *(შეთანხმების ძალაში შესვლა და ეფექტურად გამოცხადება)* შესაბამისად.

ვალდებულებების გადასახდელის დარიცხვა იწყება, თუ საჭიროა რეტროაქტიულად წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 6 თვის შემდეგ და გრძელდება მანამ, სანამ სესხით გათვალისწინებული მთლიანი თანხა არ იქნება სრულად ჩამორიცხული ან საჭიროებისამებრ, სრულად გაუქმებული.

4.2 ადმინისტრირების გადასახდელი. მსესხებელი გადაუხდის KfW-ს ერთჯერადი თანხის სახით ადმინისტრირების გადასახდელს სესხის თანხის 1.0%-ის ოდენობით რომელიც განსაზღვრულია მუხლში 1.1 *(ოდენობა)* (**"ადმინისტრირების გადასახდელი"**) და რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ადმინისტრირების გადასახდელი გადაიხდება შემდეგი ორი თარიღიდან უფრო ადრე თარიღში: (i) თანხის პირველ ჩამორიცხვამდე ან (ii) KfW-ს მიერ ამ შეთანხმების ხელმოწერიდან სამი თვის ან

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან და ეფექტურად გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ (იმისდა მიხედვით, თუ (ii)-ში მოცემული რომელი თარიღი დადგება უფრო გვიან) როგორც კი ეს შეთანხმება გაფორმდება ადმინისტრირების გადასახდელი სრულად დაირიცხება იმისდა მიუხედავად სესხი სრულად იქნა ჩამორიცხული, მხოლოდ ნაწილობრივ თუ საერთოდ არა.

5 პროცენტი

5.1 პროცენტი. მსესხებელი გადაუხდის პროცენტს KfW-ს შემდეგნაირად:

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებული განაკვეთის ოფციით. მსესხებელი გადაიხდის პროცენტს სესხზე შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) *ცვლადი საპროცენტო სარგებელი.* თითოეულ ჩამორიცხულ სესხზე მოხდება წლიური ცვლადი პროცენტის დარიცხვა მომდევნო საპროცენტო პერიოდების საფუძველზე 5.1.ბ მუხლის *(საპროცენტო პერიოდი)* შესაბამისად (თითოეული პერიოდი, როგორც „**საპროცენტო პერიოდი**"). ცვლადი საპროცენტო განაკვეთი („**ცვლადი საპროცენტო განაკვეთი**") შედგება ევროში ბანკთაშორისი შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთით („EURIBOR"), რომელსაც დაემატება 0,75 % (სიტყვიერად: ნული მთელი სამოცდათხუთმეტი პროცენტი) წლიური მარჟა, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ ხელმისაწვდომ საგრანტო თანხებს. თუ ასეთი სახით გამოთვლილი საპროცენტო განაკვეთი წლიურ 0%-ს ჩამოცდა, ცვლადი საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 0% შესაბამის საპროცენტო პერიოდზე.

(i) ნიშნული საპროცენტო განაკვეთი. EURIBOR, რომელიც გავრცელდება საპროცენტო პერიოდზე წარმოადგენს წლიურ განაკვეთს (რომელიც მრგვალდება პროცენტის 1/16-მდე, საჭიროების შემთხვევაში) რაც მითითებულია Reuters-ის გვერდზე EURIBOR 01 ან, თუ ამ გვერდზე არ იქნება ასახული საჭირო ინფორმაცია, ან შეუძლებელია მისი ამოღება, ბლუმბერგის გვერდზე Corp EBF (ან შემდეგ გვერდზე, რომელიც ანაცვლებს მითითებულ Reuters ის და ბლუმბერგის გვერდებს) დაახლოებით 11 საათზე ბრიუსელის დროით მეორე საბანკო დღეს (როგორც ეს განმარტებულია 15.1 მუხლში (საბანკო დღე)). საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე როგორც EURIBOR ევროში იმ ვადიანობით, რომელიც ემთხვევა შესაბამის საპროცენტო პერიოდს, ან თუ შესაბამისი საპროცენტო პერიოდი არ ემთხვევა ვადიანობაში Reuters-ის ან ბლუმბერგის რომელიმე კოტირებულ ვადიანობას, EURIBOR რომელიც კოტირებულია შემდეგ უფრო გრძელ ვადიანობაზე.

(ii) *ალტერნატიული კოტირება.* თუ შესაბამისი კოტირებები არ არის მოცემული ზემო აღნიშნულ Reuters-ის და ბლუმბერგის გვერდებზე, რომლებიც აღნიშნულია მუხლში 5.1 ა) (i)-ში *(მითითებული საპროცენტო განაკვეთი)* ან ეს გვერდები არ შეიცავს საჭირო ინფორმაციას ან ეს გვერდები მიუწვდომელია, EURIBOR, რომელიც უნდა გავრცელდეს საპროცენტო პერიოდზე იქნება დადგენილი KfW-ს მიერ, როგორც წლიური საპროცენტო განაკვეთის საშუალო არითმეტიკული (დამრგვალებული დაახლოებით პროცენტის 1/16-მდე,

საჭიროების შემთხვევაში) იმ სესხებზე, რომლებიც შეთავაზებულია ევროში ევროპულ ბანკთა შორის ბაზარზე KfW-ს მიერ შერჩეული სამი წამყვანი ბანკის მიერ იმ მოცულობებით, რომელიც მიესადაგება შესაბამის სესხის მოცულობას და ყველაზე ახლოს არის ვადიანობით საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე არსებულ საპროცენტო პერიოდის მეორე საბანკო დღესთან.

(iii) EURIBOR-ის შეჩერება. ამასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი:

ა) მოლაპარაკება. მოლაპარაკების დაწყებისთანავე, მხარეები დაიწყებენ კეთილსინდისიერ მოლაპარაკებებს, იმ მიზნით რომ შეთანხმდნენ საბაზისო ნორმის შეცვლაზე, ზღვარის კორექტირებაზე და შესაბამის ტექნიკურ ცვლილებებზე იმ პერიოდში , რომელიც მოიცავს საკონტროლო შეჩერების თარიღს. მოლაპარაკებები გაითვალისწინებს იმდროინდელ საბაზრო სტანდარტებს და ჩატარდება იმ მიზნით, რომ შემცირდეს ან იქნას შეჩერებული, რაც პრაქტიკულად არის შესაძლებელი, ნებისმიერი ეკონომიკური ღირებულების გადაცემა ერთი მხარედან მეორე მხარის მიმართულებით.

ბ) სახსრების ღირებულება. ქვეპუნქტი (ა) (მოლაპარაკება) გათვალისწინებით, ნებისმიერ საპროცენტო პერიოდში საკონტროლო შეჩერების თარიღის გათვალისწინებით, EURIBOR უნდა ჩანაცვლდეს ნორმით, რომელსაც გაეცნო მსესხებელი KfW მიერ. ეს იქნება ის, რაც გამოხატავს პროცენტულ განაკვეთს ყოველწლიურად, KfW დააფინანსებს თანხით, რომელიც იქნება თანაბარი სესხისა რელევანტური საპროცენტო პერიოდის განმავლობაში, ნებისმიერი წყაროდან, რომელიც არჩეული იქნება გონივრულად, დამატებით 0,75%, (სიტყვიერად: ნული მთელი სამოცდათხუთმეტი პროცენტი)

(iv) განმარტებები. ამ პარაგრაფში ა) (ცვლადი საპროცენტო ნორმა)

მაჩვენებლის მოქმედების შეწყვეტის თარიღი ნიშნავს (i) თარიღს, როდესაც EURIBOR-ის ადმინისტრატორმა გამოაქვეყნა შეტყობინება (მათ შორის განცხადება საკუთარ ვებგვერდზე), რომ EURIBOR-ი აღარ იმოქმედებს, (ii) თარიღს, როდესაც EURIBOR-ის ადმინისტრატორის კომპეტენტურმა უფლებამოსილმა პირმა გამოაქვეყნა შეტყობინება (მათ შორის განცხადება საკუთარ ვებგვერდზე) აა) ადმინისტრატორის უფლებამოსილების ან რეგისტრაციის გაწვევის შესახებ, ან ბბ) EURIBOR-ის გამოყენების აკრძალვის შესახებ, (iii) თარიღს, როდესაც EURIBOR-ი აღარ არის ხელმისაწვდომი, საკანონმდებლო აქტის ძალით, ან (iv) თუ EURIBOR-ი არ იყო გამოტანილი შესაბამის გვერდზე ან შესაბამისი გვერდი არ იყო ხელმისაწვდომი, სულ მცირე, მიყოლებით 10 საბანკო დღის განმავლობაში, რომლებიც უშუალოდ უსწრებდა წინ პროცენტის განსაზღვრის თარიღს, პროცენტის განსაზღვრის ამგვარ თარიღს;

შემდგომი ტექნიკური შესწორებები: ნიშნავს ამ შეთანხმების ნებისმიერ შემდგომ შესწორებას, რომელიც ჩანაცვლების ნიშნული განაკვეთის ან მარჟის კორექტირების ძალაში შესვლისთვის არის საჭირო ან სასურველი;

პროცენტის განსაზღვრის თარიღი: ნიშნავს თარიღს, როდესაც ამ შეთანხმების თანახმად განისაზღვრება საპროცენტო პერიოდში გამოსაყენებელი EURIBOR-ი;

მარჟის კორექტირება: ნიშნავს მარჟის შეცვლას, რათა გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნეს, რომ EURIBOR-ის შეცვლამ ჩანაცვლების ნიშნული განაკვეთით არ გამოიწვიოს ეკონომიკური ღირებულების ერთი მხარიდან მეორეზე გადასვლა;

მოლაპარაკების დაწყების თარიღი: ნიშნავს თარიღს, როდესაც KfW ატყობინებს მსესხებელს, რომ, მისი აზრით, შესაბამის საკრედიტო ბაზრებზე ჩამოყალიბებულია შესაფერისი გადაწყვეტილებები, რომ EURIBOR-ის ჩანაცვლება მოხდეს მაჩვენებლის მოქმედების შეწყვეტის თარიღის შემდეგ; და

ჩანაცვლების ნიშნული განაკვეთი: ნიშნავს ნიშნულ განაკვეთს, რომელზეც მსესხებელი და KfW შეათანხმებენ EURIBOR-ის ჩანაცვლების მიზნით.

ბ) *საპროცენტო პერიოდი.* სესხის პირველი საპროცენტო პერიოდის გამოკლებით, თითოეული საპროცენტო პერიოდი დაიწყება გადახდის თარიღზე (როგორც განმარტებულია 5.3 მუხლით *(გადახდის თარიღები)*) და დასრულდება შემდეგ გადახდის თარიღზე. სესხის პირველი საპროცენტო პერიოდი დაიწყება ასეთი სესხის თანხის ჩამორიცხვის თარიღზე და დასრულდება შემდეგ გადახდის თარიღზე.

თუ გადახდით თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, მოხდება მისი ადაპტირება 7.2 მუხლის *(გადახდის თარიღი)* შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში საპროცენტო პერიოდი დასრულდება ადაპტირებულ გადახდის თარიღზე და შემდეგი საპროცენტო პერიოდი დაიწყება ადაპტირებულ გადახდის თარიღზე. საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გავრცელდება თავიდანვე განსაზღვრული საპროცენტო პერიოდის ვადის ამოწურვამდე გავრცელდება ადაპტირებულ საპროცენტო პერიოდზე.

გ) *ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მსესხებლის მოთხოვნით.* სესხის ბოლო ჩამორიცხვის შემდეგ მსესხებელს შეუძლია მოითხოვოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გავრცელება ნასესხები და დაუფარავი თანხის სრულ მოცულობაზე შემდეგი პირობებით („**პროცენტის შეცვლა**"). თუ მსესხებელი ისურვებს პროცენტის შეცვლას, გავრცელდება შემდეგი პირობები:

(i) *ფიქსირებული პროცენტის პერიოდი.* ფიქსირებული პროცენტის პერიოდი ვრცელდება იმ თარიღიდან, რომელზეც იწყება მისი გავრცელება 5.1.გ) (iv) მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი)* შესაბამისად („**ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი**")

მსესხებლის მოთხოვნით („ეფექტურობის თარიღი") სესხის სრულ დაფარვამდე ბოლო გადახდის მეშვეობით; ეფექტურობის თარიღი უნდა ემთხვეოდეს გადახდის თარიღს.

(ii) *KfW-ს შეტყობინება.* მსესხებელი შეატყობინებს KfW-ს პროცენტის შეცვლის მოთხოვნის შესახებ არსებითად პირველ დანართში *(განაცხადის ნიმუში საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით)* მოცემული ფორმით. შეტყობინება უნდა იყოს მიღებული მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ყველაზე გვიან ეფექტურ თარიღამდე შეთხუთმეტე საბანკო დღეს, დღის 12 საათამდე.

(iii) *საპროცენტო განაკვეთის კოტირება.* შესაბამის ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, ყველაზე გვიან ეფექტურ თარიღამდე მეხუთე (მე-5) საბანკო დღეს, დღის 12 საათამდე. KfW მიაწოდებს მსესხებელს არასავალდებულო კოტირებას იმ ფიქსირებული პროცენტის თაობაზე, რომელიც გავრცელდება 5.1.გ) (iv) მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი)* შესაბამისად, თუ საჭირო იქნება ცვლილება ასეთ კოტირებასთან დაკავშირებით.

თუ მსესხებელი შეუქცევადად დაუდასტურებს KfW-ს პროცენტის ცვლილების შესახებ მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, არაუგვიანეს შეთანხმებულ ეფექტურ თარიღამდე მეოთხე (მე-4) საბანკო დღეს, დღის 12 საათამდე, KfW განახორციელებს პროცენტის ცვლილებას ინსტრუქციის შესაბამისად და შეატყობინებს მსესხებელს ეფექტურ თარიღზე განსაზღვრული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ 5.1.გ) (iv) მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი)* შესაბამისად.

თუ მსესხებელი არ მიიღებს KfW-ს მიერ შეთავაზებულ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ან თუ KfW არ მიიღებს მსესხებლის დამოწმებას მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, შეთანხმებულ ეფექტურ თარიღამდე მეოთხე (მე-4) საბანკო დღეს, დღის 12 საათამდე, მაშინ KfW არ მოახდენს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ცვლადი საპროცენტო განაკვეთიდან ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

(iv) *ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი.* KfW განსაზღვრავს ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ევროკავშირის კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანი სესხებისთვის იმ დროს არსებული პირობების შესაბამისად გაითვალისწინებს რა KfW-ს ხარჯებს და ასევე წლიურ 0,75%-იან მარჟას, რომელშიც ასახულია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისთვის ხელმისაწვდომი საგრანტო სახსრები. თუ ასეთი სახით გამოთვლილი საპროცენტო განაკვეთი წლიურ 0%-ს ჩამოცდა, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 0%. ამ სახით დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი გავრცელდება 6.1 მუხლით *(სესხის დაფარვის გრაფიკი)* გათვალისწინებული გრაფიკით განსაზღვრულ ბოლო გადახდამდე. KfW დაუყოვნებლივ შეატყობინებს მსესხებელს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

(v) *სახსრების მიუღებლობის კომპენსაცია.* თუ KfW-ს მიერ 5.1.გ)(iii) მუხლის *(საპროცენტო განაკვეთის კოტირება)* შესაბამისად უზრუნველყოფილი შეტყობინების შემდეგ KfW-მ დაადგინა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი სესხის მოცულობისთვის 5.1.გ) მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მსესხებლის მოთხოვნით)* შესაბამისად და თუ მსესხებელმა შემდგომ გააუქმა პროცენტის ცვლილება ან თუ პროცენტის ცვლილება გაუქმდა სხვა მიზეზით, რომელზეც KfW არ არის პასუხისმგებელი, მსესხებელი KfW-ს მოთხოვნისთანავე გადაუხდის სახსრების მიუღებლობის კომპენსაციას, რაც საჭიროა KfW-ს დანაკარგის ან იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც გამოიწვია ასეთმა გაუქმებამ. KfW გამოთვლის სახსრების მიუღებლობის კომპენსაციის მოცულობას და შეატყობინებს მას მსესხებელს.

(vi) *უარი რეკონვერსიაზე.* საპროცენტო განაკვეთის შეცვლის შემდეგ, ფიქსირებული განაკვეთიდან ცვლად საპროცენტო განაკვეთზე გადასვლა გამორიცხულია.

5.2 *პროცენტის გამოთვლა.* პროცენტის დარიცხვა სესხის ათვისებულ თანხაზე დაიწყება იმ დღიდან (თარიღის ჩათვლით), როდესაც შესაბამისი სესხის თანხა KfW-ს მიერ მსესხებლისათვის გახსნილი სესხის ანგარიშიდან იქნება გადარიცხული, იმ თარიღამდე (ჩათვლის გარეშე), როდესაც შესაბამისი თანხების დაკრედიტება მოხდება KfW-ს ანგარიშზე, ისე როგორც 7.3 მუხლშია *(ანგარიში და ჩარიცხვის დრო)* აღნიშნული. თუ ადგილი ქონდა პროცენტის ცვლილებას 5.1. გ) მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მსესხებლის მოთხოვნით)* შესაბამისად, პროცენტი გამოითვლება იმ დღის ჩათვლით, რომელზეც მოხდა გადახდების ასახვა, ეფექტური თარიღის დღეს პროცენტის დარიცხვის გარეშე. გადასახდელი საპროცენტო თანხის გამოთვლა მოხდება 7.1 მუხლის*(კალკულაცია)* შესაბამისად.

5.3 *გადახდის თარიღები. საპროცენტო თანხა გადახდილი იქნება ქვემოთ მოცემულ თარიღებში (თითოეული „გადახდის თარიღი"):*

ა) პირველი ჩამორიცხვის გადახდამდე ყოველი წლის 15 მაისს და 15 ნოემბერს, მაგრამ არა უადრეს გადახდის თარიღისა, რომელიც ამ შეთანხმების ძალაში შესვლის და ეფექტურად გამოცხადების შემდეგ დადგება შეთანხმების 15.10 მუხლის *(შეთანხმების ძალაში შესვლა და ეფექტურად გამოცხადება)* შესაბამისად;

ბ) პირველი გადახდის დღეს 6.1 მუხლის *(სესხის დაფარვის გრაფიკი)* შესაბამისად ჩამორიცხვასთან ერთად;

გ) 6.1 მუხლით *(სესხის დაფარვის გრაფიკი)* გათვალისწინებული გადახდის თარიღების შესაბამისად

6 სესხის დაფარვა და წინსწრებით დაფარვა

6.1 *სესხის დაფარვის გრაფიკი.* მსესხებელი სესხის დაფარვას შემდეგი გრაფიკით განახორციელებს:

სესხის ნაწილი	გადახდის თარიღი	თანხა ევროში
1	15 ნოემბერი 2024	2,857,142.85
2	15 მაისი 2025	2,857,142.85

3	15 ნოემბერი 2025	2,857,142.85
4	15 მაისი 2026	2,857,142.85
5	15 ნოემბერი 2026	2,857,142.85
6	15 მაისი 2027	2,857,142.85
7	15 ნოემბერი 2027	2,857,142.85
8	15 მაისი 2028	2,857,142.85
9	15 ნოემბერი 2028	2,857,142.85
10	15 მაისი 2029	2,857,142. 85
11	15 ნოემბერი 2029	2,857,142.85
12	15 მაისი 2030	2,857,142.85
13	15 ნოემბერი 2030	2,857,142.85
14	15 მაისი 2031	2,857,142.85
15	15 ნოემბერი 2031	2,857,142.85
16	15 მაისი 2032	2,857,142.85
17	15 ნოემბერი 2032	2,857,142.85
18	15 მაისი 2033	2,857,142.85
19	15 ნოემბერი 2033	2,857,142.85
20	15 მაისი 2034	2,857,142.85
21	15 ნოემბერი 2034	2,857,143.00

სესხის დაფარვის გრაფიკი შესაძლებელია დროდადრო იქნას კორექტირებული მუხლი 6.5-ის თანახმად.

6.2 *სესხის ჩამოურიცხავი თანხები.* სესხის ჩამოურიცხავი თანხები 6.1 მუხლის (*სესხის დაფარვის გრაფიკი)* თანახმად სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად განსაზღვრული ბოლო ტრანშიდან იქნება გამოკლებულ გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ცალკეულ შემთხვევებში KfW თავისი შეხედულებისამებრ სესხის დაფარვის სხვა ალტერნატივას არ განსაზღვრავს.

6.3 *ჩამორიცხვები არასრული დაფარვის შემთხვევაში.* თუ სესხიდან სახსრების ჩამორიცხვა მის სრულ დაფარვამდე მოხდება, სესხის დაფარვის გრაფიკი, რომელიც 6.1 მუხლშია *(სესხის დაფარვის გრაფიკი)* მითითებული შეუცვლელი დარჩება იმ შემთხვევაში, თუ დაფარვის მოცულობა არ აღემატება აუთვისებელი სესხის მოცულობას („აუთვისებელი სესხის თანხა"). იმ შემთხვევაში, თუ 6.1 მუხლის *(სესხის დაფარვის გრაფიკი)* შესაბამისად გადასახდელი დასაფარი მოცულობა აღემატება ჩამოურიცხავი სესხის მოცულობას, KfW გადასახდელ თანხას გამოაკლებს ჩამოურიცხავ მოცულობას და ამ სხვაობას გადაანაწილებს ყველა შემდგომ შენატანზე. KfW იტოვებს უფლებას არ გაითვალისწინოს ის სახსრები, რომლებიც შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღამდე 45 დღით ადრე იქნა ჩამორიცხული დარჩენილი დავალიანების მოცულობის განსაზღვრის დროს, იმის გათვალისწინებით რომ გადასახდელი სესხის თანხა უნდა იქნეს გადახდილი დაფარვისათვის გათვალისწინებული შემდგომი თარიღის დადგომამდე.

6.4 *წინსწრებით დაფარვა.* წინსწრებით დაფარვაზე გავრცელდება შემდეგი მოთხოვნები:

ა) *წინსწრებით დაფარვის უფლება.* მსესხებელს შეუძლია ყოველ გადახდის დღეს 6.4 მუხლის (ბ) დან*(შეტყობინება) 6.4* (ე) ქვეპუნქტებამდე *(თანხების ჩათვლა)* განსაზღვრული პირობების დაცვით, დაფაროს სესხი, სესხის დაფარვის საბოლოო ვადაზე ადრე, მაგრამ არაუმცირეს 6.1 მუხლში*(სესხის დაფარვის გრაფიკი)* მოცემული ერთი გადახდის ოდენობით.

ბ) *შეტყობინება.* 6.4 მუხლის "ა" ქვეპუნქტის (წინსწრების დაფარვის უფლება) შესაბამისად სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევა ექვემდებარე მსესხებლის მიერ KfW-სათვის წინასწარ შეტყობინებას, არაუგვიანეს თხუთმეტი საბანკო დღისა, განსაზღვრული წინსწრები თარიღის შესაბამისად.

გ) *წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია.* თუ მსესხებელი წინსწრებით გადაიხდის

(i) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სესხს; ან

(ii) ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სესხის მოცულობას შესაბამისი საპროცენტო პერიოდის დასრულებამდე.

მსესხებელი ვალდებულია KfW-სგან შესაბამისი თხოვნის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადაუხადოს მას ის მოცულობა, რომელიც სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებით KfW-ს ნებისმიერი დანაკარგის, გაწეული ხარჯების კომპენსაციისათვის იქნება საჭირო, რაც დაეკისრება სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებით ("**წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია**"). KfW სესხის წინსწრებით დაფარვის კომპენსაციის მოცულობას განსაზღვრავს და მსესხებელს შეატყობინებს. მსესხებელის თხოვნის საფუძველზე KfW მსესხებელს მიაწვდის ინფორმაციას წინსწრებით გადახდის საკომისიოს მოცულობისა და პირობების შესახებ 6.4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის *(შეტყობინება)* შესაბამისად.

დ) *დასაფარი მოცულობა.* მსესხებელი ასევე ვალდებულია 6.4 მუხლის ა) ქვეპუნქტის *(წინსწრებით დაფარვის უფლება)* შესაბამისად სესხის წინსწრებით დაფარვასთან ერთად გადაიხადოს შემდეგი:

i) სესხის ნებისმიერი წინსწრების დაფარვის კომპენსაცია 6.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტით*(წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია)* გათვალისწინებული; და

ii) წინსწრებით დასაფარ სესხზე და სხვა, ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ აუთვისებელ თანხაზე წინსწრებით დაფარვის ვადისთვის დარიცხული ყველა პროცენტი.

ე) *თანხების ჩათვლა.* 6.2 მუხლი *(ჩამოურიცხავი სესხის თანხები)* გავრცელდება შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით, წინსწრებით დაფარვის კომპენსაციაზე.

6.5 *სესხის დაფარვის გრაფიკის განახლება.* 6.3(*ჩამორიცხვები არასრული დაფარვის შემთხვევაში)* ა6.4 (*წინსწრებით დაფარვა)* მუხლების ამოქმედების შემთხვევებში, KfW მიაწოდებს მსესხებელს განახლებულ სესხის დაფარვის გრაფიკს, რომელიც ამ სასესხო შეთანხმების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და იმ დრომდე არსებულ დაფარვის გრაფიკს შეცვლის.

7 კალკულაცია და გადახდები ზოგადად

7.1 *კალკულაცია.* შემდეგი ეხება პროცენტის, ვალდებულების გადასახდელს, 7.5 მუხლით (*დეფოლტი)* გათვალისწინებული დეფოლტის, ვადა გადაცილებული დავალიანებისთვის 7.6 მუხლით (*ერთიანი კომპენსაცია)* გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის, თანხის მიუღებლობის კომპენსაციის და წინსწრებით დაფარვის კომპენსაციის გამოთვლას;

ა) თუ გამოყენებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი შესაბამის სასესხო მოცულობასთან მიმართებაში, პროცენტი, დეფოლტის პროცენტი, დაგვიანებული გადახდებისთვის ერთიანი კომპენსაცია, თანხის მიუღებლობის კომპენსაცია და წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია გამოითვლება 360 დღიანი წლის საფუძველზე და უშუალოდ გავლილი დღეების რაოდენობის შესაბამისად.

ბ) თუ გამოყენებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი შესაბამის სასესხო მოცულობასთან მიმართებაში, პროცენტი, დეფოლტის პროცენტი, დაგვიანებული გადახდებისთვის ერთიანი კომპენსაცია, თანხის მიუღებლობის კომპენსაცია და წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია გამოითვლება 360 დღიანი წლის და 30 დღიანი თვის საფუძველზე.

გ) ვალდებულების გადასახდელი გამოითვლება 360 დღიანი წლის და ოცდაათ დღიანი თვის საფუძველზე.

7.2 *გადახდის თარიღი.* იმ შემთხვევაში, თუ ამ სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდების თარიღი დაემთხვევა არასაბანკო დღეს, მსესხებელმა გადახდა უნდა განახორციელოს მომდევნო საბანკო დღეს. თუ მომდევნო საბანკო დღე ემთხვევა მომდევნო კალენდარულ თვეს, გადახდა უნდა განხორციელდეს მიმდინარე კალენდარული თვის ბოლო საბანკო დღეს.

7.3 *ანგარიში და ჩარიცხვის დრო.*

მსესხებელი გათავისუფლდება ამ შეთანხმებით გათვალისწინებული გადახდის ვალდებულებებისაგან როცა და როგორც კი შესაბამისი თანხები ყოველგვარი გამოქვითვების გარეშე, ევროში ჩაირიცხება ანგარიშზე KfW-ს, რომელიც უფლებამოსილია განკარგოს ეს თანხა, არაუგვიანეს დილის 10:00 საათისა მაინის ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა, KfW-ს ანგარიშზე IBAN DE DE80 5002 0400 3108 4546 98, მაინის ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა, დამატებითი მითითებით ("წელი, თვე, რიცხვი").

7.4 *მსესხებელის საპასუხო მოთხოვნა.* მსესხებელი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს თანხიდან დაკავება ან მოითხოვოს კომპენსაცია ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ დასაფარ თანხებთან მიმართებაში გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი უფლება არ არის აღიარებული საბოლოო გადაწყვეტილებით ან KfW-სთან შეთანხმების გზით.

7.5 *დეფოლტის პროცენტი.* თუ სესხის რომელიმე დასაფარი ნაწილი 6.4 მუხლით (*წინსწრებით დაფარვა)* გათვალისწინებული წინსწრებით განსაზღვრული დაფარვები KfW-სათვის დაბრუნებული არ იქნება დათქმულ დროს, KfW-ს შეუძლია წინასწარი გაფრთხილების გარეშე დააკისროს დეფოლტის პროცენტი, გადახდისათვის დადგენილი დღიდან იმ დღემდე როდესაც დაგვიანებული თანხა დაკრედიტდება 7.3 მუხლში (*ანგარიში და ჩარიცხვის დრო)* მითითებულ KfW-ს ანგარიშზე განაკვეთით ცვლად საპროცენტო განაკვეთს პლიუს 200 ბაზისური პუნქტი წელიწადში განსაზღვრული KfW-ს მიერ შესაბამისი საპროცენტო პერიოდისთვის 5.1 მუხლის *(პროცენტი)* შესაბამისად. ასეთი დეფოლტის პროცენტი გადახდილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ KfW-ს პირველი მოთხოვნის საფუძველზე. თუ ვადაგადაცილებულ თანხებზე ირიცხებოდა სარგებელი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 5.1.ბ) პუნქტის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მსესხებლის მოთხოვნით)* შესაბამისად KfW-

ს შეუძლია მოითხოვოს წლიურად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გადახდა 200 ბაზისური პუნქტის კურსით როგორც ზემოთაა მოცემული.

7.6 *ერთიანი კომპენსაცია.* ვადა გადაცილებული დავალიანების შემთხვევაში (გარდა გადახდისა და წინასწარი გადახდისა, რაც 7.5 მუხლითაა *(დეფოლტი)* გათვალისწინებული) KfW უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, ვადაგადაცილებულ თანხაზე მოითხოვოს კომპენსაციის ერთიანად გადახდა 5.1 მუხლით *(პროცენტი)*გათვალისწინებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთს პლიუს 200 საბაზისო განაკვეთი წელიწადში, რომელიც აითვლება გადახდის დადგენილი თარიღიდან ამ თანხის დაფარვამდე. თუ ცვლადი საპროცენტო განაკვეთი რომელიც დაადგინა KfW-მ შეიცვალა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 5.1.გ მუხლის *(ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეცვლა მსესხებლის მოთხოვნით)* შესაბამისად, KfW-მ შეიძლება ალტერნატიულად მოითხოვოს ერთიანი კომპენსაცია ვადაგადაცილებულ მოცულობებზე გადახდის ვადის მოსვლიდან უშუალოდ გადახდის თარიღამდე ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს პლიუს ნლიური 200 ბაზისური პუნქტის დამატებით. ერთიანად გადასახდელი კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნას დაუყოვნებლივ KfW-ს პირველი მოთხოვნისთანავე. მსესხებელს აქვს უფლება დაამტკიცოს, რომ ფაქტობრივად არანაირი ზიანი არ მიყენებია ან რომ მიყენებული ზარალი უფრო ნაკლებია ვიდრე ერთიანად გადასახდელი კომპენსაცია.

7.7 *ჩათვლა.* KfW უფლებამოსილია მოახდინოს მიღებული თანხებით როგორც ამ სასესხო შეთანხმებით გადასახდელი თანხების ისე "მსესხებელსა" და KfW-ს შორის დადებული სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების ჩათვლა.

7.8 *KfW-ს მიერ განხორციელებული გაანგარიშებები.* გარდა იმ შემთხვევებისა, თუ KfW-ს გაანგარიშებებში შეცდომები იქნება დაშვებული, მის მიერ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული გათვლები მიღებული უნდა იყოს როგორც უტყუარი მტკიცებულება (*Anscheinsbeweis*).

8 გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარანტია

სესხიდან პირველ ჩამორიცხვამდე, KfW-ს აქვს ამ სასესხო შეთანხმებიდან გამომდინარე გადახდის მოთხოვნის უფლება, რაც გარანტირებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ.

9 უკანონობა

თუ რომელიმე მოქმედი იურისდიქციის ქვეშ KfW-თვის უკანონო გახდება ამ შეთანხმებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულება ან სესხის დაფინანსება ან მომსახურება, KfW-ს მიერ მსესხებლის ინფორმირების შედეგად:

ა) KfW-ს ვალდებულება იქნება გაუქმებული დაუყოვნებლივ, და

ბ) მსესხებელი გადაისდის სესხს სრულად იმ საპროცენტო პერიოდის ბოლო დღეს, რომლის განმავლობაშიც გაუგზავნა KfW-მ მსესხებელს შეტყობინება, ან თუ უფრო ადრე, იმ თარიღზე, რომელიც მითითებულია KfW-ს შეტყობინებაში, რომელიც გაეგზავნა მსესხებელს (რაც უნდა იყოს არაუადრეს ნებისმიერი საშეღავათო პერიოდის ბოლო დღეზე ადრე).

ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილებისთვის ნებისმიერი გაუქმება დაექვემდებარება 2.6 მუხლს (კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში) და ნებისმიერი სესხის გადახდა წარმოადგენს წინმსწრებად გადახდას და დაექვემდებარება 6.4.გ) (წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია) და დ) მუხლით (დასაფარი მოცულობა) განსაზღვრულ პირობებს

10. ხარჯები და სახელმწიფო მოსაკრებლები

10.1 *თანხების დაქვითვის ან დაკავების დაუშვებლობა.* მსესხებელი ამ სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ თანხებს გადაიხდის ყოველგვარი გადასახადებისა, სხვა გადასახდელებისა ან სხვა ხარჯების დაქვითვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კანონის შესაბამისად ან სხვა მიზეზით მსესხებელი ვალდებულია მოახდინოს ამ თანხების დაქვითვა ან დაკავება, მსესხებლის მიერ KfW-სთვის გადახდილი თანხები გაიზრდება იმ ოდენობით, რომელიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ გადასახდელებისა და მოსაკრებლების დაქვითვის შემდეგ KfW-მ სრულად მიიღოს ამ სასესხო შეთანხმებით გადასახდელი თანხები.

10.2 *ხარჯები.* მსესხებელი თავად გასწევს ყველა სახის ხარჯსა და დანახარჯს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სესხის ჩამორიცხვასთან და გადარიცხვასთან (მათ შორის კონვერტირების ხარჯი), ასევე ამ სასესხო შეთანხმების გაფორმებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და დოკუმენტებს, ასევე ყველა უფლებას, რომელიც დაექვემდებარება განხილვას.

10.3 *გადასახადები და სხვა მოსაკრებლები.* მსესხებელი თავად გაიღებს ამ შეთანხმების გაფორმებასთან და შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ისეთ გადასახადს და სხვა ოფიციალურ მოსაკრებელს, რომელიც წარმოიქმნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. თუ KfW წინასწარ გადაიხდის ამ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, მსესხებელი მოთხოვნისთანავე გადარიცხავს აღნიშნულ თანხას 7.3 მუხლში *(ანგარიში და ჩარიცხვის დრო)* მითითებულ ანგარიშზე.

11. განსაკუთრებული ვალდებულებები

11.1 *პროექტის განხორციელება და განსაკუთრებული ინფორმაცია.* მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ თავად ის და პროექტის განმახორციელებელი სააგენტო:

ა) მოამზადებს, განახორციელებს, აწარმოებს და უზრუნველყოფს პროექტის შესაბამისობას შესაბამის ფინანსურ და ტექნიკურ პრაქტიკასთან, გარემოსდაცვითი და სოციალურ სტანდარტებთან და შესაბამისად KfW-ს და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს შორის შეთანხმებული კონცეფციის შესაბამისად;

ბ)დაავალებს პროექტის მომზადებასა და მშენებლობის ზედამხედველობას დამოუკიდებელ, კვალიფიცირებულ კონსულტანტებს ან ინჟინრებს. ხოლო პროექტის განხორციელებას - კვალიფიციურ ფირმებს;

გ) ყოველთვის შეასრულებს განსაკუთრებული შეთანხმებით გათვალისწინებულ, შესყიდვებთან დაკავშირებულ დებულებებს, მათ შორის შესაბამის შესყიდვების გეგმას;

დ) უზრუნველყოფს პროექტის სრულ დაფინანსებას და KfW-ს მოთხოვნისთანავე წარუდგენს იმის დასტურს, რომ ის ხარჯები, რომლებიც არ ანაზღაურდება ამ სესხიდან დაფარულია;

ე) აწარმოებენ ჟურნალებსა და ჩანაწერებს ან აწარმოეს ჟურნალები და ჩანაწერები, პროექტისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შეძენასთან დაკავშირებული ზუსტი ხარჯების აღრიცხვით და იმ საქონლისა და მომსახურების მითითებით, რომლებიც ამ სესხიდან ფინანსდება;

ვ) საშუალებას მისცემს KfW-ს და მის აგენტებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ ზემოხსენებული ჟურნალები და ჩანაწერები და ასევე ნებისმიერი სხვა დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ პროექტის განხორციელებასა და მსვლელობას, და მოინახულონ პროექტის ობიექტები და მასთან დაკავშირებული ყველა ნაგებობები;

ზ) წარუდგენს KfW-ს მოთხოვნისამებრ ნებისმიერ ინფორმაციასა და ანგარიშს პროექტთან და მის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით;

თ) საკუთარი ინიციატივით და დაყოვნების გარეშე,

i. მიაწოდებს KfW-ს ინფორმაციას მსესხებლის მიერ OECD–სგან ან მისი წევრებისგან "ODA-ს კრედიტების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის შეთანხმების" ფარგლებში მიღებული კითხვის შესახებ, სესხის ფარგლებიდან დასაფინანსებელი საქონლისა და მომსახურების ტენდერის მინიჭებასთან დაკავშირებით და პასუხს KfW–სთან შეათანხმებს; და

ii შეატყობინებს KfW-ს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს, ან სერიოზული საფრთხე შეუქმნას პროექტის განხორციელებას, მსვლელობასა და მიზნებს.

11.2 *პროექტის განხორციელების დეტალები.* პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და KfW განსაზღვრავენ დეტალებს, რომლებიც აღნიშნულია მუხლში 11.1 განსაკუთრებული შეთანხმებით.

11.3 *შესრულების ვალდებულება.* მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, ნებისმიერ დროს შეასრულოს მე-2 დანართში (*„შესაბამისობის დებულებები"*) განსაზღვრული ვალდებულებები.

11.4 *საქონლის ტრანსპორტირება.* სამთავრობათაშორის შეთანხმებაში ჩამოყალიბებული, მსესხებლისთვის ცნობილი დებულებები გავრცელდება იმ საქონლის ტრანსპორტირებაზე, რომელიც სესხით უნდა დაფინანსდეს.

11.5 *თანასწორობა.* კანონით დაშვებულ ფარგლებში მსესხებელი იღებს ვალდებულებას, რომ ამ სასესხო შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები მისი ყველა სხვა არსებულ და მომავალ, არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ საგარეო ვალებთან მიმართებაში, საგადასახადო ვალდებულებები თანაბარი იქნება და მსესხებელი უზრუნველყოფს კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ეს თანასწორობა ასევე მიმართული იქნება სამომავლო არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებულ საგარეო ვალებთან მიმართებაში. ამ შეთანხმებით, „საგარეო ვალი" ნიშნავს მსესხებლის ვალდებულებას რომელიც:

(i) რეგულირდება არა მსესხებლის კანონმდებლობით, არამედ საკანონმდებლო სისტემით; ან

(ii) გადახდილ იქნება არა მსესხებლის ვალუტაში არამედ სხვა ვალუტაში; ან

(iii) გადახდილ იქნება იმ პირისათვის, რომელიც არის რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები და რეზიდენტი ან მისი სათაო ოფისისათვის ან მსესხებლის ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული ძირითადი ადგილისთვის.

11.6 აქტივების გაყიდვა. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ არც თვითონ და არც პროექტის განმახორციელებელი სააგენტო KfW-ს წინასწარი თანხმობის გარეშე არ გაყიდის პროექტის აქტივებს სანამ სესხის თანხა მთლიანად არ იქნება ანაზღაურებული. პროექტის აქტივები უნდა იქნას განსაზღვრული როგორც ა) სასესხო შეთანხმების ან დაფინანსების შეთანხმების ან ადგილობრივი შენატანის შეძენილი აქტივები , ან ბ)აქტივები, რომლებიც ხელმისაწვდომია მსესხებლისთვის პროექტის მიზნების განსახორციელებლად (მიწის უფლებების ჩათვლით), ან გ) აქტივები, რომლებიც არიან ან გახდებიან ძირითადი ელემენტები პროექტისათვის, აუცილებელია მისი სწორად განხორციელებისთვის, ან დ) აქტივები, რომლებიც პროექტის განხორციელების შედეგად მიიღება, განსაკუთრებით , უფლებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე

11.7 ხარჯები. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ არც თვითონ და არც პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არ წარმოქმნის ან არ დაუშვებს პროექტის აქტივებზე ხარჯებს KfW-სთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ამ შეთანხმებით ხარჯი ნიშნავს ნებისმიერ იპოთეკას, გირაოს, ყადაღას, დავალებას ან გადარიცხვას უსაფრთხოების გარანტიით, იპოთეკით ან საგირავნო უფლებით და სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას, რომელიც არის უსაფრთხოების გარანტი ან ნებისმიერ უფლებას, რომელიც უკავშირდება ნებისმიერი პირის ვალდებულებას უპირატეს გადახდაზე. აღნიშნული ხარჯი ჩაითვლება რეალური სარგებლობის უფლების რეალიზაციის ან სხვა უფლებად, რათა უზრუნველყოფილ იქნას დებიტორული ან სხვა შესაბამისი გირაოს უფლებები.

ეს ვალდებულებები არ ვრცელდება:

ა) იმ ხარჯებზე, რომელიც უკვე არსებობს ან უკვე შეთანხმებული და წარდგენილი იყო KfW-სთან ამ შეთანხმების ხელმოწერამდე;

ბ) ხარჯებზე, რომელიც წარმოიქმნა საქმიანობისას, იურიდიული და სხვა ჩვეულებრივ სახელშეკრულებო წესების შესაბამისად, რათა შესრულდეს (გარდა სასესხო ვალდებულებებისა) მომწოდებლებისა და სხვა მომსახურების მომწოდებლების მიმართ ვალდებულებები (მაგ: ინდუსტრიაში ძირითადი უფლებების შეკავება და იურიდიული საკითხები) ან

გ) იმ ხარჯებზე, რომელიც უკვე არსებობდა, როდესაც აქტივები იყო შეძენილი და შეძენიდან სამი თვის შემდეგ ეს ხარჯები ამოღებული იქნება.

თუ მსესხებელი, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ან ნებისმიერი მესამე პირი მისცემს უფლებას ან შესაძლებლობას მესამე პირს, რომ მოითხოვოს შეღავათები და პრეტენზია გამოთქვას მსესხებლის ნებისმიერ აქტივზე, საკუთრებაზე ან შემოსავალზე, KfW-ს შეუძლია გასცეს თანხმობა მსესხებელის მიერ წარმოდგენილი (დამატებით) უსაფრთხოების გარანტიით, რომელიც იმავე ხარისხის იქნება, როგორიც KfW-ს უსაფრთხოების გარანტია მსესხებლის წინაშე.

12. **შეთანხმების შეწყვეტა**

12.1 *შეწყვეტის პირობები.* KfW ს შეუძლია გამოიყენოს უფლება 12.2 მუხლის*(შეწყვეტის მიზეზის სამართლებრივი შედეგები)* შესაბამისად, თუ ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, რომლებიც წარმოადგენს მატერიალურს მიზეზს (*Wichtiger Grund*). ეს მოიცავს, კერძოდ, შემდეგ მოვლენებს:

ა) მსესხებელი ვერ შეასრულებს KfW-ს წინაშე აღებულ ვალდებულებას თანხების დროულად დაფარვის შესახებ;

ბ) დაირღვევა ამ სასესხო შეთანხმებით ან განსაკუთრებული შეთანხმებით ან ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული სხვა დამატებითი მავალდებულებელი შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობები;

გ) ეს შეთანხმება ან მისი ნებისმიერი ნაწილი აღარ წარმოადგენს მსესხებლისთვის ვალდებულებას და ვეღარ იქნება გამოყენებული მსესხებლის მიმართ;

დ) ნებისმიერი დეკლარაცია, დადასტურება, ინფორმაცია, წარმომადგენლობა ან გარანტია, რომელიც KfW-ს აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სახსრების გამოყოფის გასაგრძელებლად და სესხის მხარდაჭერისათვის არასწორია, არასრულია ან უზუსტოა;

ე) წარმოიქმნა სხვა განსაკუთრებული გარემოება, რომელიც აყოვნებს ან ხელს უშლის ამ სასესხო შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას;

ვ) მსესხებელი და/ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ სესხის თანხები მიზნობრივად იქნა გამოყენებული;

ზ) მსესხებელი არის გადახდის უუნარო თუ ის წყვეტს კრედიტის დაფარვას ან მორატორიუმზე იწყებს მოლაპარაკებებს მსესხებლის ერთ ან რამდენიმე კრედიტორთან ვადაგასული ვალისგან გათავისუფლების, გადავადების ან ვალის მომსახურების შეწყვეტის შესახებ.

12.2 *შეწყვეტის პირობების გამომწვევი მიზეზების სამართლებრივი შედეგები.* თუ 12.1 მუხლში (*შეწყვეტის პირობები)* აღწერილ გარემოებებს ექნება ადგილი KfW დაუყოვნებლივ შეწყვეტს ჩამორიცხვებს ამ შეთანხმების ფარგლებში. თუ აღნიშნული გარემოებების აღმოფხვრა არ მოხდება 5 დღეში (მუხლი 12.1 ა) შემთხვევაში) ან თუ მუხლი 12.1-ში *(შეწყვეტის პირობები)* აღნიშნულ გარემოებებს ექნება ადგილი და აღნიშნულის აღმოფხვრა არ მოხდება, KfW-ს მიერ განსაზღვრულ დროში, რომელიც სულ მცირე 30 დღე მაინც უნდა იყოს, KfW-ს შეუძლია გააუქმოს ეს სასესხო შეთანხმება ან ნებისმიერი მისი ნაწილი, რაც გამოიწვევს ამ შეთანხმებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების გაუქმებას და KfW-ს შეუძლია მოითხოვოს სესხის ან მისი დარჩენილი ნაწილის დაუყოვნებლივი დაფარვა დარიცხულ პროცენტებთან ერთად, ისევე როგორც 7.5 მუხლით (*დეფოლტი)* და 7.6 მუხლით *(ერთიანი კომპენსაცია)* გათვალისწინებული თანხების დაფარვა შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

12.3 *ზარალის ანაზღაურება.* ამ სასესხო შეთანხმების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს თანხის მიუღებლობის კომპენსაცია 3.6 მუხლის*(კომპენსაცია თანხის მიუღებლობის შემთხვევაში)* შესაბამისად და/ან კომპენსაცია 6.4 "გ" მუხლის *(წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია)* შესაბამისად.

13. წარმომადგენლობა და შეტყობინების წარდგენა

13.1 *მსესხებლის წარმომადგენლობის უფლებამოსილება.* ფინანსთა მინისტრი და მის მიერ KfW-სათვის დასახელებული პირი, რომელსაც შესაბამისი დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშით ექნება ამისი უფლება მინიჭებული, ამ სასესხო შეთანხმების შესრულებისას წარმოადგენს მსესხებელს. ფინანსთა მინისტრი და მის მიერ KfW-სათვის დასახელებული პირი, რომელსაც შესაბამისი დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშით ექნება ამისი უფლება მინიჭებული, ამ სასესხო შეთანხმების შესრულებისას წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს. წარმომადგენლობის უფლებამოსილება გაგრძელდება მანამ სანამ მსესხებელი და/ან პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არ აცნობებს KfW-ს ამ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

13.2 *მისამართები.* ამ სასესხო შეთანხმებასთან დაკავშირებული შეტყობინებები და გაცხადებები უნდა იყოს შესრულებული წერილობით. ისინი წარდგენილი უნდა იქნეს როგორც ორიგინალები ან გამონაკლის შემთხვევაში თანხების გამოყოფის თაობაზე მოთხოვნა – ფაქსიმილეს სახით. ამ სასესხო შეთანხმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყოველი შეტყობინება და გაცხადება გაგზავნილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე:

KfW-ს შემთხვევაში:	KfW Postfach 111141 60046 მაინის ფრანკფურტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ფაქსი: +49 69 7431-2944
მსესხებელის შემთხვევაში:	ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი გორგასალის ქ. 16 თბილისი, 0114 საქართველო ფაქსი +995 (32) 2262423
პროექტის განმახორციელებელის შემთხვევაში:	თვითმმართველი ქ. ბათუმის მერია ლუკა ასათიანის ქ.25 ბათუმი 6010 საქართველო

14. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება და გადაცემა

14.1 *KfW-ს მიერ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება.* საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობასა და ეფექტურობის შესახებ KfW აქვეყნებს შერჩეულ ინფორმაციას (მათ შორის შეფასების ანგარიშები) პროექტთან დაკავშირებით და როგორ არის დაფინანსებული წინა საკონტრაქტო მოლაპარაკებებისას, მაშინ როცა პროექტთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ხორციელდება და არის პოსტ-სახელშეკრულებო ეტაპზე (შემდეგში „მთლიანი პერიოდი").

ინფორმაცია რეგულარულად თავსდება KfW-ს ვებ-გვერდზე, თავისი საქმიანობის არეალში „KfW განვითარების ბანკი" (http://transparenz.kfw-entwicklungsbank.de/en

გამოქვეყნებული ინფორმაცია (KfW-ს მიერ ან მესამე მხარეს მიერ, მუხლი 14.3-ის (*პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირთათვის და მათი გამოქვეყნება)* შესაბამისად) პროექტთან დაკავშირებით და თუ როგორ ფინანსდება ეს პროექტი, არ შეიცავს მოლაპარაკებების დროს შემუშავებულ დოკუმენტაციას ან საიდუმლო ფინანსურ ან ბიზნესთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას მხარეებთან დაკავშირებით, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში ან მის დაფინანსებაში, ასეთია:

ა) ინფორმაცია შიდა ფინანსურ მონაცემებზე

ბ) ბიზნეს სტრატეგიები

გ) შიდა კორპორატიული სასელმძღვანელოები და ანგარიშები

დ) პერსონალური მონაცემები ფიზიკურ პირებზე

ე) KfW-ს შიდა რეიტინგი მხარეების ფინანსურ მდგომარეობაზე

14.2 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებზე.* KfW აზიარებს ინფორმაციას პროექტთან დაკავშირებით და როგორ ფინანსდება სრული პერიოდის განმავლობაში, იმისთვის რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ეფექტურობა შემდეგ პირებთან:

ა) KfW-ის სუბსიდიები

ბ) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და მისი კომპეტენტური პირები, პასუხისმგებელი პირები, ინსტიტუციები, სააგენტოები და უწყებები;

გ) სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან გერმანიის ორმხრივი განვითარების თანამშრომლობაში, ნაწილობრივ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH;

დ) საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ჩართული არიან სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებაში და მათი წევრები, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და მისი წევრები;

14.3 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირთათვის და მათი გამოქვეყნება.* გარდა ამისა გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ მოსთხოვა KfW-ს, რომ გაუზიაროს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და ასევე თუ, როგორ ფინანსდება პროექტი მთელი პერიოდის განმავლობაში იმ უწყებებს, რომლებიც შესაბამის სექტორებზე აქვეყნებენ ინფორმაციას:

ა) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის ინიციატივისთვის

(http://www.bmz.de/de/ministerium/zahlen_fakten/transparenz-fuer-mehr-Wirksamkeit/Transparenzstrategie/index.html);

ბ) გერმანიის ვაჭრობა და ინვესტიცია(GTAI) საბაზრო ინფორმაციის მიზნებისთვის (http://www.gtai.de/GTAI/Navigation/DE/welcome.html);

გ) OECD განვითარების თანამშრომლობის ფარგლებში ფინანსური დინებების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის (http://stats.oecd.org/);

დ) გერმანული ინსტიტუტი განვითარების შეფასებისთვის (DEval), რათა შეაფასოს გერმანული განვითარების თანამშრომლობის გამჭვირვალობა და ეფექტურობა (https://www.deval.org/en/).

14.4 *პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა სხვა მესამე პირთათვის (მათი გამოქვეყნების ჩათვლით).* KfW იტოვებს უფლებას, გადასცეს (მათ შორის გამოქვეყნების მიზნით) ინფორმაცია პროექტის შესახებ და როგორ არის დაფინანსებული სრული პერიოდის განმავლობაში, მესამე მხარეს, რათა დაცული იყოს კანონიერი ინტერესები.

ინფორმაცია არ არის გადაცემული KfW-ს მიერ მესამე მხარისთვის თუ მსესხებლის ან/და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს კანონიერი ინტერესები ინფორმაციაში არ გადაწონის KfW-ს ინტერესებს. მსესხებლის ან/და პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს კანონიერი ინტერესები ნაწილობრივ შეიცავს კონფიდენციალურობას საიდუმლო ინფორმაციისას, რომელიც აღნიშნული იყო მუხლი 14.1-ში (*KfW-ს მიერ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნება*) და რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

გარდა ამისა KfW უფლებამოსილია გადასცეს ინფორმაცია მესამე მხარეს, თუ ეს აუცილებელია ნორმატიული და მარეგულირებელი მოთხოვნების გამო, ან საჭიროა ინტერესების დაცვა სხვა იურიდიული უფლებებისა სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცედურებში.

15. ზოგადი დებულებები

15.1 *საბანკო დღე.* ამ სასესხო შეთანხმების მიზნებში "**საბანკო დღე**" ნიშნავს შაბათის და კვირის გარდა დღეს, როდესაც მაინის ფრანკფურტის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომერციული ბანკები ღიაა ძირითადი საქმიანობისათვის.

15.2 *შეთანხმების შესრულების ადგილი.* ამ სასესხო შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ადგილია მაინის ფრანკფურტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

15.3 *ნაწილობრივი გაუქმება და ხარვეზები.* თუ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება ან ძალას დაკარგავს, ან ამ შეთანხმების რომელიმე დებულებაში საკითხი არასრულად არის წარმოდგენილი, ეს არ მოახდენს ზეგავლენას დანარჩენ დებულებებზე. ამ შეთანხმების მხარეები ძალადაკარგულ დებულებებს ახალი დებულებებით ჩაანაცვლებენ, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს იქნებიან ძალადაკარგული დებულებების სულისკვეთება და მიზანთან. მხარეები შეავსებენ ყველა ხარვეზს არსებულ დებულებაში იურიდიულად მოქმედი დებულებით, რომლებიც მაქსიმალურად ახლოს იქნებიან ამ შეთანხმების სულისკვეთება და მიზანთან.

15.4 *წერილობითი ფორმა.* ამ შეთანხმებაში ცვლილებები და დამატებები იმისთვის, რომ ისინი ძალაში იყოს უნდა გაფორმდეს წერილობით. მოცემული მოთხოვნის გაუქმების თაობაზე თხოვნა მხარეების მიერ მომზადებული უნდა იყოს წერილობით.

15.5 *უფლებამოსილების დელეგირება.* მსესხებელი არ დაავალებს ან გადასცემს სხვას, არ დააგირავებს ამ სასესხო შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებებს.

15.6 გამოყენებადი კანონმდებლობა. ეს შეთანხმება რეგულირდება გერმანიის კანონმდებლობით.

15.7 *ხანდაზმულობის ვადა.* ამ სასესხო შეთანხმებასთან KfW-ს ყველა პრეტენზია ძალადაკარგული იქნება იმ წლის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ, როდესაც პრეტენზია წარმოიქმნა და როდესაც KfW-მ ინფორმაცია შეიტყო პრეტენზიასთან დაკავშირებული გარემოებების თაობაზე, ან შეიძლება შეეტყო ამ დაუდევრობით გამოწვეული გარემოებების თაობაზე.

15.8 *იმუნიტეტზე უარის თქმა.* რამდენადაც, მსესხებელს შეუძლია რომელიმე იურისდიქციაში ახლა ან მომავალში საკუთარ თავზე ან მის აქტივებზე სასამართლო იმუნიტეტის მოთხოვნა, შესრულება, ყადაღის დადება ან სხვა სამართლებრივი პროცესი და იმის მიხედვით, რომ ნებისმიერ მსგავს იურისდიქციაში მასზე ან მის აქტივებზე შეიძლება გავრცელდეს ასეთი იმუნიტეტი, სესხის ამღები ამით შეუცვლელად თანახმაა არ მოითხოვოს და წინამდებარეთი შეუცვლელად უარს ამბობს ასეთი იურისდიქციის ფარგლებში ნებადართულ იმუნიტეტზე, თუმცა იმუნიტეტი არ მოიხსნება იმ შემთხვევაში როდესაც გამოყენებულია:

ა) არსებული ან სამომავლო "მისიის ქონება", როგორც ამას განსაზღვრავს ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, ხელმოწერილი 1961 წელს, "საკონსულოს ქონება", ნებისმიერი საბანკო ანგარიშის ჩათვლით როგორც ეს განსაზღვრულია ვენის კონვენციაში საკონსულო ურთიერთობების შესახებ, ხელმოწერილი 1963 წელს, ან სხვაგვარად გამოყენებული საქართველოს დიპლომატიური ან საკონსულო მისიების ან სხვა საგენტოს მეშვეობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა პროცესის ეფექტური მომსახურებისთვის),

ბ) სამხედრო ხასიათის საკუთრება, რომელიც იმყოფება სამხედრო პირების ან თავდაცვის სააგენტოს კონტროლის ქვეშ.

გ) საქართველოში მდებარე საკუთრება, რომელიც განკუთვნილია სახალხო, სამთავრობო ან კულტურული მიზნებით გამოყენებისთვის (კომერციული მიზნების საპირისპიროდ) ან

დ) ეჭვის გასაქარწყლებლად, (A) საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრება იმისდა მიუხედავად არის თუ არა ჩადებული ქართულ ან არაქართულ ბანკში ან სხვა ნებისმიერ საფინანსო ორგანიზაციაში, ან (B) საქართველოს კანონის "საქმეთა წარმოების შესახებ" 2^1 მუხლში განსაზღვრული ნებისმიერი ტიპის საკუთრება, რომელიც საქართველოში მდებარეობს.

საქართველო უფლებას იტოვებს დაიცვას თავისი სუვერენული იმუნიტეტი 1976 წლის აშშ უცხოური სუვერენული იმუნიტეტის აქტის შესაბამისად მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ან შტატის უსაფრთხოების კანონების მიხედვით.

15.9 *სამართლებრივი დავა.*

ა) არბიტრაჟი. ამ სასესხო შეთანხმებასთან დაკავშირებული ან წარმოშობილი ყველა დავა მხოლოდ და საბოლოოდ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარეგულირდება. ამასთან დაკავშირებით შემდეგი მოთხოვნები ამოქმედდება:

i. საარბიტრაჟო სასამართლო შედგება ერთი ან სამი არბიტრისგან, რომლებიც დაინიშნებიან და იმოქმედებენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) არბიტრაჟის წესების მიხედვით, რომელშიც დროდადრო შედის ცვლილება.

ii. საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მაინის ფრანკფურტში. პროცედურები წარიმართება ინგლისური ენაზე.

15.10 *შეთანხმების ძალაში შესვლა და ეფექტურობა.* ეს სასესხო შეთანხმება არ შევა ძალაში მანამ, სანამ:

ა) ეს შეთანხმება სათანადოდ ხელმოწერილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ;

ბ) რატიფიცირების დოკუმენტი გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში;

გ) მსესხებელმა KfW-ს წარუდგინა წერილობითი დასტური, რომ სასესხო შეთანხმება სათანადოდ არის რატიფიცირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ შეთანხმება არ შევა ძალაში ექვსი თვის განმავლობაში ბოლო მხარის მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან, KfW-ს შეუძლია ძალაში შესვლის ექვსთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო დღეს ცალმხრივად გავიდეს მოცემული შეთანხმებიდან და ამდენად შეწყვიტოს მისი გარდამავალი ძალაში არ ყოფნის პერიოდი მსესხებლისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე .: .ორ: ორიგინალად.

მაინის ფრანკფურტი,		თბილისი,
7 ოქტომბერი, 2019		7 ოქტომბერი, 2019
KfW-სთვის		საქართველოსთვის წარდგენილი ფინანსთა სამინისტროთი
სახელი. სტეფან ოპიცი	სახელი: კლაუს ფეიგელი	სახელი: ივანე მაჭავარიანი
წოდება: KfW ევროპისა და აზიის განყოფილების დირექტორი	წოდება: KfW რეგიონული ოფისის დირექტორი	წოდება: საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დანართი 2

განაცხადის ნიმუში საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით

KfW
Postfach 11 11 41
60046 მაინის ფრანკფურტი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

განაცხადი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით

პროექტის მოკლე აღწერა: _____
სესხის შეთანხმების თარიღი: _____
სესხის მოცულობა: _____

სესხის შეთანხმების 5.1 გ) (ii) (KfW შეტყობინება) პუნქტის შესაბამისად გთხოვთ შეცვალოთ ზემოაღნიშნულ სესხთან მიმართებაში ცვლადი საპროცენტო სარგებელი ფიქსირებულ საპროცენტო სარგებლად, რომელიც ძალაში შევა შემდეგი თარიღიდან: - - - - - - - - - - - - რომელიც წარმოადგენს გადახდის თარიღს სესხის შეთანხმების 5.3 მუხლის (გადახდის დღე) შესაბამისად.

_____ _____
ადგილი თარიღი

_____
მსესხებლის ხელმოწერა

დანართი 2

შეთანხმების შესაბამისობა

1. ***<u>განმარტებები:</u>***

იძულებითი პრაქტიკა: არის დასუსტება ან ზიანის მიყენება, ან დამუქრება დასუსტებით ან ზიანის მიყენებით, რომელიც ზიანს აყენებს პირს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ნებისმიერ პირს ან პირის საკუთრებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს პირის ქმედებებზე.

შეთქმულების პრაქტიკა: არის ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რომელიც შექმნილია რათა მიღწეულ იქნას არასათანადო მიზანი, მათ შორის სხვა პირის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენა.

კორუფციული პრაქტიკა: პირდაპირ თუ ირიბად, ნებისმიერი არალეგალური გადახდის დაპირება, შეთავაზება, გაცემა, მიღება, დაჟინებული მოთხოვნა ან ნებისმიერი სახის უკანონო ან უპასუხისმგებლო უპირატესობის გამოყენება ნებისმიერი პირის მიერ ან ნებისმიერი პირის მიმართ ან ნებისმიერი პირისთვის მიერ რაიმე ქმედების აკრძალვა.

თაღლითური პრაქტიკა: ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, მათ შორის არასწორი წარმოდგენა, რომელიც შეგნებულად ან დაუფიქრებლად შეცდომაა, ან შეცდომაში შეყვანის მცდელობა, როდესაც პირი მიიღებს ფინანსურ სარგებელს ან ვალდებულებას თავიდან აიცილებს.

ობსტრუქციული პრაქტიკა: (i) გამომძიებლების მიმართ გამოძიების ან ცრუ განცხადებების გაკეთების მიზნით მტკიცებულებათა განადგურება, გაყალბება, შეცვლა ან დამალვა, რომელიც მატერიალურად აფერხებს ოფიციალურ გამოძიებას კორუფციის პრაქტიკის, თაღლითობის პრაქტიკის, იძულებითი პრაქტიკის, შეთქმულების პრაქტიკის შემთხვევებში, ან მუქარა, შეურაცხყოფა ან დაშინება ნებისმიერ პირის, რათა თავიდან იქნას აცილებული გამოძიების პროცესში შესაბამისი საკითხების ცოდნა ან გამოძიების ჩატარება, ან (ii) ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს მიზანშეწონილად შეაფერხოს KfW-ის ხელმისაწვდომობა კონტრაქტით მოთხოვნილ ინფორმაციასთან, კორუფციის პრაქტიკასთან, თაღლითურ პრაქტიკასთან, იძულებით პრაქტიკასთან და კოლაბორაციულ პრქტიკასთან დაკავშირებულ გამოძიებაზე.

პირი: ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, პარტნიორობა ან შეუზღუდავი ასოციაცია.

სანქციის პრაქტიკა: ნებისმიერი იძულებითი პრაქტიკა, შეთქმულების პრაქტიკა, კორუფციული პრაქტიკა, თაღლითური პრაქტიკა ან ობსტრუქციული პრაქტიკა (როგორც ზემოთ არის განმარტებული), რომელიც (i) არის უკანონო გერმანიის ან სხვა შესაბამისი კანონის მიხედვით და (ii), რომელსაც გააჩნია, ან პოტენციურად გააჩნია, მატერიალურ-სამართლებრივი ან რეპუტაციული ეფექტი შეთანხმებაზე სესხის ამღებსა და KfW-ს შორის ან მის განხორციელებას.

სანქციები: ეკონომიკური, ფინანსური ან საავაჭრო სანქციები კანონები, რეგულაციები, ემბარგოები ან შემზღუდავი ზომები ადმინისტრირებული, ამოქმედებული ან აღსრულებული ნებისმიერ სანქციის ორგანოს მიერ.

სანქციის ორგანო: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, ევროკავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

სანქციების სია: ნებისმიერი სია, სპეციალურად დანიშნული პირების, ჯგუფების ან სუბიექტებისა, რომლებიც ნებისმიერი სანქციის ორგანოს მიერ გაცემულ სანქციებს ექვემდებარებიან.

2. ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება

მსესხებელი ვალდებულია

ა) დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახადოს KfW-სთვის მოთხოვნის შემთხვევაში ყველა საჭირო "იცნობდე თქვენს კლიენტებს" ან მსგავს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ, KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში;

ბ) დაუყოვნებლივ წარუდგინოს KfW-ს მოთხოვნის შემთხვევაში ყველა პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და მსესხებელთან დაკავშირებული დოკუმენტები მისი (ქვე) კონტრაქტი და ინფორმაცია სხვა დაკავშირებულ მხარეებზე, რომლებზეც KfW მოითხოვს, რომ შეასრულონ ვალდებულებები, რათა თავიდან არიდებული იქნას ნებისმიერი სანქციური პრაქტიკა, ფულის გათეთრება ან/და ტერორიზმის დაფინანსება, ასევე მსესხებელთან საქმიანი ურთიერთობის უწყვეტი მონიტორინგისთვის, რომელიც აუცილებელია ამ მიზნით;

გ) გააფრთხილოს KfW, დაუყოვნებლივ და საკუთარი შეთანხმებით, როგორც კი გაჩნდება ეჭვი, ნებისმიერი სანქციის პრაქტიკაზე, ფულის გათეთრებაზე ან/და ტერორიზმის დაფინანსებაზე, რომელიც კავშირშია პროექტთან.

დ) KfW-ს მიაწოდოს ნებისმიერი და ყველა ინფორმაცია და ანგარიში პროექტთან და მის შემდგომ პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მოითხოვოს KfW-მ, ამ დანართის მიზნებისათვის; და

ე) საშუალებას მისცემს KfW- სა და მის აგენტებს ნებისმიერ დროს შეამოწმონ ყველა სხვა პროექტთან დაკავშირებული მსესხებლის დოკუმენტაცია და მისი (ქვე) კონტრაქტი და სხვა დაკავშირებული მხარეები, და დაათვალიეროს პროექტი და მასთან დაკავშირებული ყველა დანადგარი ამ დანართის მიზნებისათვის.

3. წარმომადგენლობა და გარანტია

გერმანიის კანონმდებლობის ან მსესხებლის ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, მსესხებელი წარმოადგენს იმას, რომ მსესხებლის სახელით პროექტთან დაკავშირებით მოქმედ არც ერთ პირს არ ჩაუდენია ან არ არის კავშირში ნებისმიერ სანქცირებულ პრაქტიკასთან, ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსებასთან.

ამ მუხლში ჩამოთვლილი წარმომადგენლობა და გარანტია პირველად განხორციელდება ამ შეთანხმების შესრულებით. ეს გულისხმობს, რომ განმეორდება სესხის თითოეული გამოყენების და თითოეულ საპრივატიზაციო თარიღზე, იმ თარიღების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ამ თარიღს.

4. პოზიტიური მიდგომა

სესხის ამღები მოქმედებას იწყებს, როგორც კი მსესხებელი ან KfW გაეცნობა, ან იეჭვებს, რომ ადგილი აქვს ნებისმიერ სანქცირებულ პრაქტიკას, ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსების აქტს, რომ სრულად ითანამშრომლოს KfW ოან და მის აგენტებთან, რათა განსაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა ამგვარ ინციდენტს. კერძოდ, მსესხებელმა დაუყოვნებლივ და რეგულარულად უნდა უპასუხოს KfW-ს, მისგან ნებისმიერი შეტყობინების მიღების შემთხვევაში და გაუწიოს დოკუმენტური მხარდაჭერა KfW თხოვნის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

5. ნეგატიური ზემოქმედება

სესხის ამღები არ შეასრულებს რაიმე ოპერაციას ან ჩაერთვება სხვა საქმიანობაში, რომელიც კავშირშია პროექტთან და რომელიც წარმოადგენს სანქციების დარღვევას.

336/1-19
22.10.2019
Georgia
of Agriculture of Georgia